z

1. **GITA**-საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გამოცხადებული აქვს თანადაფინანსების 650 000-ლარიან საგრანტო პროგრამა ინოვაციების მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გლობალური პოტენციალის მქონე პროდუქტი - ტექნოლოგიური ან ბიზნეს-პროცესის ინოვაცია, რომელიც ნათლად ასოცირებული იქნება საქართველოსთან და რომლის სათავო ოფისი მოახდენს ოპერირებას საქართველოდან.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

სულ მცირე ერთ წლიანი რეგისტრაციის მქონე მეწარმე სუბიექტს, 30 მილიონამდე წლიური ბრუნვით, აგრეთვე კონსორციუმებს სადაც წამყვანი აპლიკანტი მეწარმე სუბიექტია.

მოთხოვნილი გრანტის ოდენობა: 150,000-650,000 ლარი.

თანადაფინანსება: პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 50%.

საკვალიფიკაციო კრიტერიუმები განმცხადებლისთვის:

1. საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი რომლის 51% კერძო საკუთრებაშია;
2. მეწარმე სუბიექტის წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 30 მილიონ ლარს;
3. კომპანია რეგისტრირებული უნდა იყოს საგრანტო კონკურსში განაცხადის, წარდგენამდე სულ მცირე ერთი წლით ადრე;
4. კომპანიის წილის 50%-ს ან მეტს არ უნდა ფლობდეს სხვა კომპანია.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა: 2021 წლის 1 თებერვალი

დეტალური ინფორმაციის მისაღებად გადადით ლინკზე

2. **USAID-ის პროექტი "ზრდა საქართველოში"**

USAID "ზრდა საქართველოში" გამოცხადებული აქვს საგრანტო კონკურსი ბოსტნეულის, კენკრისა და მწვანილის სასათბურე წარმოების განვითარების მიზნით ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამეგრელო ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონების სამიზნე თემებში.

საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

1. ზემოთ აღნიშნული რეგიონების სამიზნე თემებში მცხოვრებ ფერმერებს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან ინდ.მეწარმედ, ან გამონაკლის შემთხვევაში აქვთ საგადასახადო რეგისტრაციის ნომერი, როგორც ფიზიკურ პირს,თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;
2. გრანტი გაიცემა აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომელთაც აქვთ სურვილი გააფართოვონ/განაახლონ არსებული სასათბურე მეურნეობა ან მოაწყონ სრულიად ახალი სასათბურე მეურნეობა და სათბურის მოწყობაში მიიღონ ფინანსური და არა ფინანსური (მუშა ხელი) თანამონაწილეობა.

პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

პროექტი ითვალისწინებს სასათბურე მეურნეობების მოწყობას (2000 კვ.მ-მდე)

1მ2 მიწაზე ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს შემდეგი მოცულობის სუბსიდია:

- ახალი სათბურის მოწყობა - 12.75 ლარი
- არსებულ სათბურზე გადასახური მასალების შესყიდვა და მონტაჟი - 4.0 ლარი
- არსებულ სათბურში სარწყავი სისტემის მოწყობა - 2.25 ლარი
- ვენტილაციის სისტემა - 2.25 ლარი

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა: 2021 წლის 28 თებერვალი

დეტალური ინფორმაციის მისაღებად გადადით ლინკზე.

3. **USAID-ის პროექტი "ზრდა საქართველოში"**

პროექტს ახორციელებს "ქემონიქს ინთერნეიშენალი", რომელიც აცხადებს საგრანტო კონკურსს ხილისა და ბოსტნეულის მცირე მოცულობის სამაცივრე მეურნეობების მოწყობის მიზნით ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამეგრელო ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონების სამიზნე თემებში.

1მ2 მიწაზე ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს შემდეგი მოცულობის სუბსიდია:

- **ხილისა და ბოსტნეულის შესანახი მაცივრის სპეციფიკაციები (შენობის გარეთ) - 130 ლარი**

- **ხილისა და ბოსტნეულის შესანახი მაცივრის სპეციფიკაციები (შენობაში) - 100 ლარი**

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა: 2021 წლის 28 თებერვალი 18:00

დეტალური ინფორმაციის მისაღებად გადადით ლინკზე.

4. **USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა**

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა აცხადებს წლიურ საგრანტო პროგრამას - სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში ინოვაციების წასახალისებლად. წლიური საგრანტო პროგრამის მიზანია, მოიძიოს და დააფინანსოს ინოვაციური იდეები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიონ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიერ შერჩეულ ერთ ან რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვზე **(კენკრა, მწვანილი, კურკოვანი ხილი, თესლოვანი ხილი, მალფუჭებადი**

ბოსტნეული, მანდარინი, სუფრის ყურძენი და კაკლოვანი კულტურები (გარდა თხილისა)).

საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

1. პირებს, რომლებსაც შეუძლიათ საგრანტო თანამონაწილეობის სახსრების უზრუნველყოფა ნაღდი ფულით და/ან კრედიტის სახით.
2. პირებს, რომლებსაც აქვთ მიკრო, მაკრო და საშუალო ზომის კერძო კომერციული საწარმოები.

პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 75 000 აშშ დოლარს.

ბენეფიციარის თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს მოთხოვნილი თანხის 60%-ს.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა: 2021 წლის 30 სექტემბერი

დეტალური ინფორმაციის მისაღებად გადადით ლინკზე.

თუ გსურთ მონაწილეობა მიიღოთ რომელიმე აღნიშნულ პროგრამაში, Start – Business Solutions გთავაზობთ კონკურსის ფარგლებში.

წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადებასა და მოლაპარაკებების წარმოებას.

Start - Business Solutions
დამატებითი ინფორმაციისთვის
დაგვიკავშირდით

T :(+995) 322 18 38 21
E-mail: info@startbs.com
Web: www.startbs.com
Facebook: Start - Business Solutions
Linkedin: Start - Business Solutions